დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო სილაგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელწიფო სამხატვრო აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	გრიბოედოვის ქუჩა #22, თბილისი, საქართველო, 0108
ვებ-გვერდი	https://art.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	08.10.2018, №79
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	08.10.2024

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ექსპერტთა ჯგუფმა, შეფასება განახორციელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის 3,3 და 5.1 სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ-აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის აბიტურიენტის, 2019 წლის 17 ივნისის საჩივრის №765861 და უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციაში მოცემული გარემოებები ავტორზაციის სტანდარტებთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა და უსდ-მ დროულად მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
ანგარიში ეყრდნობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიღებულ ინფორმაცას. მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, შეფასდა მხოლოდ საჩივარში არსებული გარემოებები და შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა უსდ-ს სრული შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 21.08.2019-17.09.2019

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული

სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები:

- შეფსების სუბიექტურობის თავიდან აცილებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს შეფასების ჰოლისტური სქემა და შეფასების ბადეში განიმარტოს ქულები კრიტერიუმებთან მიმართებით;
- გათვალისწინებულ იქნას დარგის სპეციფიკა ,,შემოქმედებით ტურში'' აბიტურიენტთათვის დავალების შერჩევისას;
- გაიზარდოს ხელმისაწვდომობა სააპელაციო განაცხადების წარდგენისთვის და სააპელაციო საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობა;
- შესაბამისობაში მოვიდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია მოქმედ დებულებასთან;
- შემუშავდეს შეფასების სახელმძღვანელო/გზამკვლევი აბიტურიენტებისთვის, რათა უზრუნველყოს კანდიდატების მიმართ შემფასებლების მოლოდინების/მოთხოვნების გაცნობა
- გაუმჯობესდეს მისაღები გამოცდების მეთოდოლოგია, გახდეს მეტად გამჭვირვალე პროცესი სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით;

რჩევები:

- საგამოცდო პროცესის სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, ანონიმურობისთვის აბიტურიენტს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომრები ან კოდირებული ნომრები სამუშაო ფორმატზე დასატანად და საგამოცდო ნაშრომებისთვის სახელისა და გვარის მისადაგება მანამდე არ მოხდეს, სანამ შეფასება არ დამტკიცდება;
- საგამოცდო დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შეფასებას მეტად ჰქონდეს სუბიექტური ხასიათი. შესაბამისად, დამატებით რწმუნების მიღების მიზნით, სასურველია, ყოველი საგამოცდო პაკეტი შესწორდეს ორჯერ სხვადასხვა შემფასებლის მიერ;
- სასურველია, უსდ-ში აბიტურიენტთა მისაღები გამოცდებთან დაკავშირებით, მოძიებულ და გათვალისწინებულ იქნას სხვა სხვა უსდ-ების საუკეთესო პრაქტიკება;

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	**სწავლის შედეგების შეფასება**	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	**სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები**	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ქეთევან აფთარაშვილი (თავმჯდომარე)
2. ნინო სილაგაძე (წევრი) ნ. სილაგაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ-თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ყოველწლიურად შეიმუშავებს აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის დებულებას (ოქმი N9, 01.05.2019 წ.), რომლითაც განისაზღვრება შემოქმედებითი კონკურსის წესი, პირობები და ორგანიზების საკითხები. კერძოდ, შეფასების სისტემა, აბიტურიენტთა რეგისტრაცია და მათ უფლება-მოვალეობები, საკონკურსო ნამუშევრების ჩაბარების წესი, დამკვირვებელთა და მეთვალყურეთა უფლება-მოვალეობები, შედეგების გამოქვეყნებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენა-განხილვის პროცედურები. უსდ-ში მოქმედებს აბიტურიენტთა შემოქმედებითი კონკურსისათვის შექმნილი **ნამუშევრების შეფასების** სპეციფიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ კომპონენტებზე და ემსახურება აბიტურიენტის შემდეგი უნარების წარმოჩენას (სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2019 წლის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის დებულება, მუხლი 5, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ა, ბ, გ): • საგანთა მასშტაბური და პროპორციული ურთიერთდაკავშირება წარმოადგენს ნატურიდან შესრულებული გრაფიკული ნახატის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია სახვითი ხელოვნების, დიზაინის, არქიტექტურის, მედიახელოვნების მომავალი სპეციალისტის საბაზისო უნარებთან და ცოდნასთან (სივრცითი აზროვნება, საგანთა სივრცეში განლაგების უნარი, პერსპექტივის კანონების ფლობა, საგნების მასშტაბის აღქმა, მათი ურთიერთმიმართება და სხვ.). • საგანთა აგება-კონსტრუირების უნარი ასევე დაკავშირებულია აბიტურიენტის საბაზისო უნართან, ფლობდეს საგანთა რეალისტური გამოსახვის წესებს, პერსპექტივის კანონებს, გააჩნდეს რაკურსის, შუქჩრდილის გადმოცემის უნარი და სხვ. • საგანთა ფორმის წარმოჩენა შუქჩრდილისა და ფერის ტონალური გრადაციის საშუალებით სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი საბაზისო გამომსახველობითი ხერხია, რომლის მეშვეობით ხდება

სამგანზომილებიანი ობიექტების გამოსახვა სიბრტყეზე (ორგანზომილებიან მოცემულობაზე). ამავე დროს, შუქჩრდილისა და ფერის გრადაციების გადმოცემის უნარი დაკავშირებული სახვითი ხელოვნების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხის - განათების აღქმასთან და მისი გადმოცემის მეთოდების ფლობასთან.

სამივე ეს კომპონენტი განსაზღვრავს, რამდენად შეძლებს აბიტურიენტი შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის კურსების ფარგლებში არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ცოდნის დაუფლებასა და მომავალი პროფესიის საფუძვლების ათვისებას. სამივე ეს მოთხოვნა ადეკვატურია, თუმცა ნაკლებადაა გათვალისწინებული დარგის სპეციფიკა. კერძოდ, ყველა სფეროსთვის (დიზაინი, მედიახელოვნება, არქიტექტურა...) ,,შემოქმედებითი ტური'' მხოლოდ ხატვაში ტარდება და ისიც იდენტური დავალების მიცემით.

საგამოცდო ნამუშევრების შეფასებისთვის რექტორის ბრძანებით იქმნება შემოქმედებითი კონკურსის **შემფასებელი კომისია** და უფლებამოსილია შეაფასოს აბიტურიენტთა საგამოცდო ნამუშევრები. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. 2019 წელს შემფასებელთა კომისიის შემადგენლობაში (რექტორის ბრძანება №32-ს/ხ, 10.06.2019) შემავალ წევრთა პირადი საქმის შესწავლისას ირკვევა, რომ თითოეული წევრი შერჩეულია თავისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და ცოდნის გამო, გამოცდაზე შესამოწმებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონის გათვალისწინებით.

თითოეული საკონკურსო ნამუშევარს შემფასებელი კომისია აფასებს 100-ქულიანი სისტემით. შემოქმედებით კონკურსის ჩატარების დებულების მე-5 მუხლში წარმოდგენილია საკონკურსო დავალების შეფასების კრიტერიუმები (საგანთა მასშტაბური და პროპორციული ურთიერთდაკავშირება, საგანთა აგება-კონსტრუირება, საგანთა ფორმის წარმოჩენა შუქჩრდილისა და ფერის ტინალური გრადაციის საშუალებით) და მითითებულია, რომ ნაშრომი ფასდება ყველა კრიტერიუმის ერთობლიობით. შეფასება ვალიდურია, თუმცა არც დებულებაში და არც შეფასების უწყისში არ არის წარმოდგენილი შეფასების სქემა, სადაც შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად მოცემული იქნება ქულების განმარტება. შეფასების სქემა შესაძლებელია ჰოლისტური ყოფილიყო, სწორედ იმ სპეციფიკიდან გამომდინარე, რომ შეფასება ყველა კრიტერიუმის ერთობლიობით ხდება.

თსსა საგამოცდო ოფისი (რექტორის ბრძანება №27-ს/ხ, 14.05.2019) უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარების ორგანიზაციულ მხარეს მათ შორის საგამოცდო ნაშრომების ჩაბარებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უსდ-ში 2019 წელს ჩატარებული შემოქედებითი კონკურსის ჩატარების პროცედურაში რაიმე დარღვევა არ ფიქსირდება. კერძოდ, როგორც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებიდან ირკვევა, საგამოცდო ოფისის მეთვალყურეს არ დასჭირვებია აბიტურიენტებისთვის საგამოცდო ფორმატის გამოცვლა (შემოქმედებითი კონკურსის დებულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სარეზერვო ფორმატი აბიტურიენტს გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი შემჩნეული იქნება ხატვისას განსხვავებული ფერისა და ფაქტურის სახატავი ფანქრის გამოყენებაში, ფორმატის დაზიანებასა და/ან სხვა მაიდენტიფიცერებელი ნიშნის დადებაში). მეთვალყურემ საგამოცდო ოფისს გადასცა სამუშაო

ფორმატები, რომლებიც დალუქული იყო საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელის, დამკვირვებლებისა და აბიტურიენტების თანდასწრებით. მიღება-ჩაბარების ოქმითვე დასტურდება, რომ შემფასებელმა კომისიამ სამუშაოს დაწყებამდე ჩაიბარა ნამუშევრები, რომელთა არცერთი ლუქი არ იყო დაზიანებული/დარღვეული. შემოქმედებითი კონკურსის დებულების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შემფასებელთა კომისიის მუშაობის დაწყებამდე გადაცემული დალუქული ნამუშევრები კომისიის თანდასწრებით ,,საგამოცდო ოფისის ხელმძღვანელის მიერ იხსენება'', გადაითვლება ნამუშევრები და შესაბამისი აქტის გაფორმების შემდგომ ,,შემფასებელი კომისია უფლებამოსილია დაიწყოს მუშაობა''. თსსა მიერ წარმოდგენილი 2019 წლის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებით კონკურსის საგამოცდო ოფისის სხდომის ოქმის №14 (12.06.2019) თანახმად, შემფასებელი კომისიის წევრების, დამკვირვებლებისა და საგამოცდო ოფისის წევრების თანდასწრებით მოხდა ლუქის ახსნა და ნაშრომების იდენტიფიცირება შესაბამისი ქულის გაფორმება.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი აბიტურიენტის სამუშაო ფორმატის ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ კანდიდატის სახელის, გვარისა და პირადი ნომერის მიხედვით ხდება შესაბამისი ქულის იდენტიფიცირება და არა საიდენტიფიკაციო ნომრის ან კოდირებული ნომრების მეშვეობით. კანდიდატის ანონიმურობის დაცვა კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რათა აკადემიამ უზრუნველყოს საგამოცდო პროცესის სანდოობა და მიუკერძოებელი შეფასების პროცესი. აღსანიშნია, რომ უსდ იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს და ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით რეგისტრაციისას აბიტურიენტებს გადაეცემათ მათთვის მინიჭებული ინდივიდუალური კოდი, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ ისაა, რომ კანდიდატმა თსსა-ს ოფიცალურ ვებგვერდზე ნახოს თავისი შეფასება (ქულა) მინიჭებული კოდით.

აკადემია აბიტურიენტებს საშუალებას აძლევს გაასაჩივრონ მიღებული შეფასება, რისთვისაც იქმნება **საპრეტენზიო/სააპელაციო საბჭო,** რომელიც განიხილავს აბიტურიენტთა საპრეტენზიო განცხადებებს და გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიალურად. სააპელაციო საბჭოს შემადგენლობაში არ შედის არცერთი წევრი ნაშრომების გამსწორებელი ძირითადი კომისიის შემადგენლობიდან. საჩივრის განხილვას შესაძლებელია აპელანტის და ასევე, რექტორის გადაწყვეტილებით ხმის უფლების გარეშე შემფასებელი კომისიის ერთი წევრის დასწრებაც, რაც მნიშვნელოვანია შეფასების პროცესის მიუკერძოებლობისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ სააპელაციო საბჭოს შემადგელობას რექტორი განსაზღვრავს საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დღეს. საპრეტენზიო განაცხადთან დაკავშირებით აკადემიის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დგინდება, რომ ,,შემოქმედებითი კონკურსის შემფასებელი კომისიისა წევრების ვინაობის შესახებ ბრძანება როგორც წესი გამოიცემა გამოცდის დღეს, ხოლო საპრეტენზიო/სააპელაციო საბჭოს წევრების - საპრეტენზიო განცხადებების განხილვის დღეს ან წინა სამუშაო დღეს. რაც ასევე უზრუნველყოფს კონკურსის სამართლიანად ჩატარებას'' (სამხატვრო აკადემიის წერილი №21/857, 11.07.2019), თუმცა ფაქტი, რომ სააპელაციო საბჭომ იცის, ვის ნაშრომს

ამოწმებს, გაჭირდება ობიექტური შეფასება. ამასთან, საბჭოს მუშაობის შესახებ ინფორმაცია ნაკლებადაა წარმოდგენილი.

შემოქმედებითი კონკურსის დებულების 14.2 პუნქტის შესაბამისად, აბიტურიენტს აქვს უფლება მოითხოვოს საგამოცდო ნაშრომის ხელახლა ნახვა ,,შემოქმედებითი კონკურსის ბოლო ნაკადის შედეგების გამოქვეყნებიდან მეორე დღის 18 საათამდე'', თუმცა აკადემიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით (იხ. ბმული: https://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=650) სააპელაციო განაცხადების მიღება წარმოებს ,,11:00 საათიდან 15 საათამდე'' ერთ დღეს და გარდა ამისა, საპრეტენზიო განაცხადი ბარდება აბიტურიენტთა მიერ თსსა საგამოცდო ოფისში, რაც ართულებს განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას.

უსდ-მ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია სააპელაციო განაცხადების რაოდენობის შესახებ (საპრეტენზიო საბჭოს ოქმი №1 (15.06.2018), ოქმი №1 (14.06.2019). კერძოდ, 2018 წელს აპელაციაზე განაცხადი შეიტანა 30-მა აბიტურიენტმა, ხოლო 2019 წელს - 33-მა აბიტურიენტმა. 2018 წელს 8 აბიტურიენტის საპრეტენზიო განაცხადი დაკმაყოფილდა, ხოლო 2019 წელს - 7. დაკმაყოფილებული ნაშრომებიდან თითოეული მათგანის ჯამური ქულა გაიზარდა 1 ქულით. წარმოდგენილ ოქმებში არ ჩანს, თუ რის საფუძველზე მოხდა ქულის მომატება, ან იმავე შეფასებების დატოვება.

მნიშვნელოვანია, რომ აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია შემოქმედებითი ტურის დებულება (2019) https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=1-5-4 , თუმცა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აბიტურიენტთათვის გამოცდაზე ქცევის წესებისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, სასურველია, ამავე დებულებით დარეგულირდეს აბიტურიენტის უფლება-მოვალეობის გაცნობის საკითხი შესაბამისი სხვა დამატებით ფორმით (შესაძლებელია, დამკვირვებლის მიერ გაცნობა, საინფორმაციო ბროშურა და ა.შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2019 წლის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის დებულება;
- უსდ-ის რექტორის ბრძანება სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2018 წლისათვის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის აბიტურიენტთა ნამუშევრების შემფასებელი კომისიის დამტკიცების თაობაზე (№78-ს/ხ, 11.06.2018)
- უსდ-ის რექტორის ბრძანება სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2019 წლისათვის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის აბიტურიენტთა ნამუშევრების შემფასებელი კომისიის დამტკიცების თაობაზე (№32-ს/ხ, 10.06.2019)
- აბიტურიენტთა ნამუშევრების შემფასებელი კომისიისა და სააპელაციო კომისიის წევრთა CV-ები;
- უსდ-ის რექტორის ბრძანება სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2019 წლისათვის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის სააპელაციო/საპრეტენზიო საბჭოს დამტკიცების თაობაზე (№35-ს/ხ, 14.06.2019);
- უსდ-ის რექტორის ბრძანება სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2019 წლის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე (14.05.19);

- სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სააპელაციო/საპრეტენზიო საბჭოს ოქმები (15.06.2018, 14.06.19);
- სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2019 წლის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის საგამოცდო ოფისის სხდომის ოქმი #14 (12.06.19);
- საკონკურსო ნამუშევრების მიღება-ჩაბარების აქტები (12.06.19);
- უსდ-ს წესდება
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ანკეტა-კითხვარი 2019-2020
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- შეფსების სუბიექტურობის თავიდან აცილებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს შეფასების ჰოლისტური სქემა და შეფასების ბადეში განიმარტოს ქულები კრიტერიუმებთან მიმართებით;
- გათვალისწინებულ იქნას დარგის სპეციფიკა ,,შემოქმედებით ტურში'' აბიტურიენტთათვის დავალების შერჩევისას;
- გაიზარდოს ხელმისაწვდომობა სააპელაციო განაცხადების წარდგენისთვის და სააპელაციო საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობა;
- შესაბამისობაში მოვიდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია მოქმედ დებულებასთან;
- შემუშავდეს შეფასების სახელმძღვანელო/გზამკვლევი აბიტურიენტებისთვის, რათა უზრუნველყოს კანდიდატების მიმართ შემფასებლების მოლოდინების/მოთხოვნების გაცნობა

რჩევები:

- საგამოცდო პროცესის სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, ანონიმურობისთვის აბიტურიენტს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომრები ან კოდირებული ნომრები სამუშაო ფორმატზე დასატანად და საგამოცდო ნაშრომებისთვის სახელისა და გვარის მისადაგება მანამდე არ მოხდეს, სანამ შეფასება არ დამტკიცდება.
- საგამოცდო დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შეფასებას მეტად ჰქონდეს სუბიექტური ხასიათი. შესაბამისად, დამატებით რწმუნების მიღების მიზნით, სასურველია, ყოველი საგამოცდო პაკეტი შესწორდეს ორჯერ სხვადასხვა შემფასებლის მიერ

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდებითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია აკადემიაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღარების წესები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სტუდენტთა მიღება წარმოებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დებულებით დადგენილი წესით. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების მე-8 მუხლის თანახმად, აბიტურიენტები, რომლებსაც სურთ სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე გადიან ,,შემოქმედებით ტურს'', რომელიც სავალდებულო პროცედურაა სახელოვნებო-შემოქმედებითი ფაკულტეტების აბიტურიენტებისათვის. შესაბამისად, აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხდება ,,თსსა'' კონკურსისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირებული ქულების საფუძველზე. თსსა წესდების მე-7 მუხლის ,,მ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭო ,,სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით'' . ბაკალავრიატის 2019-2020 წლის ანკეტა-კითხვარი, რომელიც განხილული და დამტკიცებული იყო ფაკულტეტების საბჭოებზე, აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა (ოქმი 7, 12.12.2018). დამტკიცებული ანკეტა-კითხვარის მიხედვით, ყველა მიმართულებისთვის ,,შემოქმედებითი ტური'' ტარდება ხატვაში, განსაზღვრულია რიგით პირველ პრიორიტეტად და აქვს საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი ეროვნული გამოცდებით ჩასაბარებელ სხვა საგნებთან შედარებით. ამიტომ ჩარიცხვის პროცედურების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად კიდევ უფრო მეტად იზრდება თსსა პასუხისმგებლობა, რათა ,,შემოქმედებითი ტურის'' კონკურსი ჩატარდეს სამართლიანად და გამჭვირვალედ ორგანიზებულ პირობებში (შეფასების სქემის შემუშავება, აპელაციის პროცედურების გაუმჯობესება, რომლებზეც დეტალურად საუბარია ქვესტანდარტში 3.3). როგორც 3.3 სტანდარტის აღწერილობით ნაწილშია წარმოდგენილი, აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის დებულებით განისაზღვრება შემოქმედებითი კონკურსის წესი, პირობები

და ორგანიზების საკითხები. ინფორმაცია აპელაციის პროცედურების, აბიტურიენტთა ჩარიცხვისთვის რეგისტრაციის პოცედურების, გამოცდის ჩატარებისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ აღწერილია ქვესტანდარტში 3.3
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2019 წლის აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის დებულება; • უსდ-ს წესდება • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • ანკეტა-კითხვარი 2019-2020 • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №7 (12.12.2018) • უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები: • გაუმჯობესდეს მისაღები გამოცდების მეთოდოლოგია, რათა გახდეს მეტად გამჭვირვალე პროცესი სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით.
რჩევები: • სასურველია, უსდ-ში აბიტურიენტთა მისაღები გამოცდებთან დაკავშირებით, მოძიებულ და გათვალისწინებულ იქნას სხვა სხვა უსდ-ების საუკეთესო პრაქტიკა
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან